ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6

2025 წლის 29 იანვარი

ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირ №1-ში, თამარ მეფის გამზირ №5გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ№05.30.39.004; 05.30.39.016) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 მაისის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ ბათუმში თამარ მეფის გამზირი №1-ში, თამარ მეფის გამზირ №5გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კN05.30.39.004; 05.30.39.016) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 მაისის №27 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 3/06/2024, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016642) შევიდეს ცვლილება და განაშენიანების დეტალური გეგმა ჩამოყალიბდეს ამ დადგენილებაზე თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**